ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 120

“3” ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ე.წ. ხეხილსანერგე მეურნეობის დასახლებაში, გარეჯის ქუჩასთან არსებული უსახელო I და II ჩიხებისთვის გარეჯის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილებისა და “დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის დამტკიცებული დანართი №2-ის შესაბამისად ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ნაძალადევის რაიონში, ე.წ. ხეხილსანერგე მეურნეობის დასახლებაში, გარეჯის ქუჩასთან არსებულ უსახელო I და II ჩიხებს მიენიჭოს გარეჯის სახელი თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

X_485735.7024
Y_ 4620366.6121
X_485784.8275
Y_ 4620315.3981
X_485778.6007
Y_ 4620306.7006
X_485773.1421
Y_ 4620229.205
I ბოდი
II ბოდი
ფანდურის ქუჩა